# ხელშეკრულება № 106

ქ. კასპი                                                                                    6 ივლისი 2012 წელი

შ.პ.ს. "ახალი განთიადი" შემდგომში "მომწოდებლად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის /რედაქტორის/, ნანა მერებაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და მეტეხის N2 საჯარო სკოლა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული წარმოდგენილი დირექტორის ვიოლეტა მუღალიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შპ.ს. "ახალი განთიადი" მიაწვდის მეტეხის N2 საჯარო სკოლას გაზეთ "ახალ განთიადს" 2 ეგზემპლარის ოდენობით (CPV-22200000).

## 2. საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი, ვადები და ღირებულება

2.1. გაზეთ "ახალი განთიადის" შეძენა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2.2. მთლიანი ღირებულება შეადგენს =24= (=ოცდაოთხი=) ლარს.

2.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადების სახით, რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.3. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

## 4.მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.2. გადაუხადოს მომწოდებელს საქონლის ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4.2. "მომწოდებელს" უფლება აქვს:

4.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნასთან.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ექვსი თვე. იმ შემთხვევაში თუ მხარეები არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად.

## 8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

## 10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

"მომწოდებელი"
შპ.ს. "ახალი განთიადი"
მისამართი ქ. კასპი სააკაძის №68
საბანკო რეკვიზიტები: ა/ნ GE45LB0113148625779000; ს/კ232557989
ს.ს. "ლიბერთი ბანკის" კასპის ფილიალი ბ/კ LBRTGE22

"შემსყიდველი"
სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხის N2 საჯარო სკოლა 232550904

"მომწოდებელი"
შპ.ს. "ახალი განთიადის"
დირექტორი                    ნ. მერებაშვილი

"შემსყიდველი"

ახალი განთიადი * "AKHALI GANTIADI" LTD * 232557989

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის №2 საჯარო სკოლა
LEPL - Kaspi Municipality Village Metekhi Public School №2
232550904